

ცვლილებების განმახორციელებლები არაძაღაღობრივ კამპანიებში

Agents of Change and Nonviolent Action

Hardy Merriman

Conservation Biology
Volume 22, No. 2 – April 2008
Translation: Georgi Meladze

TRANSLATOR'S NOTES

Please insert any helpful information about this translation here.

ცვლილებების განმახორციელებლები არაძალადობრივ კამპანიებში

არაძალადობრივი მოქმედება ნებისმიერ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, იბრძოლოს საკუთარი უფლებებისთვის, თავისუფლებისთვის, სამართლიანობისთვის. ამგვარ მოქმედებებს ხშირად უკავშირებენ ეთიკურსა თუ მორალურ არჩევანს, მაგრამ ის, რაზეც აქ მინდა გესაუბროთ, განსხვავდება მორალური არჩევანისგან. გთავაზობთ, გაიაზროთ არაძალადობა, როგორც პრაგმატული გზა, რომელიც, კონფლიქტის დროს, უპირატესობის მოპოვებაში გვეხმარება.

არაძალადობრივი აქტივობა ეფუძნება დაშვებას, რომ ძალაუფლება მოიპოვება ხალხის თანხმობისა და მორჩილების საფუძველზე. ამ შეხედულების საპირისპიროა მოსაზრება, რომ ძალაუფლება კონცენტრირებულია იქ, სადაც ქონება და ძალადობის გამოყენების შესაძლებლობაა. თუმცა, როგორც ეკონომიკაა საარსებო გარემოს გააზრების ერთ-ერთი ქვესისტემა და ექვემდებარება ბიოსფეროს ზოგად კანონზომიერებებს, ისევეა ძალაუფლების სისტემაც, რომელიც ძალადობასა და ფულს ეფუძნება; თუმცა, რეალობაში, ესეც ქვესისტემაა და მილიონობით ადამიანის ქცევიდან და მორჩილებიდან გამომდინარეობს. თუ ადამიანები ჩვევებს შეიცვლიან, ანგარიშს აღარ გაუწევენ არსებულ სტრუქტურებს და აღარ იქნებიან მორჩილნი, ძალაუფლების ბალანსი კონკრეტულ საზოგადოებაში და მთლიანად მსოფლიოში შეიცვლება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, როცა ხალხი უარს იტყვის მორჩილებაზე, მმართველები და დიდი გაერთიანებები ვეღარ შეძლებენ მართვას.

ამიტომ, რომ არაძალადობრივი კამპანია ძალაუფლებას მოიპოვებს საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის წესების, ანგარიშვალდებულებისა და მორჩილების არსებული პრაქტიკის ცვლილების გზით. ცვლილებები შეიძლება ყოვლისმომცველი იყოს, როგორც ეს მოხდა ინდოეთში - დამოუკიდებლობის მოძრაობის დროს, ამერიკაში - სამოქალაქო უფლებების მოძრაობის დროს, შრომითი უფლებების დაცვისას (ფერმებში მომუშავეთა გაერთიანება 60-ანების დროს), ფერდინანდ მარკოსის რეჟიმის დასასრულს (1986), ავგუსტო პინოჩეტის შემთხვევაში (1988), სამხრეთ აფრიკის აპართეიდის დროს (1980-90-იანები), სლობოდან მილოშევიჩის შემთხვევაში (2000) და უკრაინის ავტორიტარული სისტემის დამხობისას (2004). ასევე, ცვლილება უფრო ვიწროდ მიზანმიმართულიც შეიძლება იყოს - როდესაც ადამიანები გადაწყვეტენ, ივაჭრონ ადგილობრივ მაღაზიებში, ბოიკოტი გამოუცხადონ რომელიმე პროდუქტს ან შექმნან ალტერნატიული ინსტიტუტი და ეკონომიკური სივრცე. მიუხედავად მრავალფეროვნებისა, არაძალადობრივი აქტივობის ყოველგვარი გამოვლინება სამ ჯგუფად შეიძლება დაგყოთ: ქმედებაზე ორიენტირებული - როდესაც ხალხი იმგვარ ნაბიჯებს დგამს, ისეთ რამეს აკეთებს, რაც არ უნდა გაეკეთებინა და მისგან არ მოელოდნენ; თავშეკავება - როდესაც ხალხი ისე არ იქცევა, როგორც იქცეოდა, არ აკეთებს იმას, რასაც მისგან მოელოდნენ ან მოითხოვდნენ და მესამე, ამ ორის კომბინაცია - აერთიანებს ზემოთ აღწერილ გამოცდილებას.

თუ გვსურს მორჩილებისა და ქცევის არსებული პრაქტიკის შეცვლა, უნდა გვესმოდეს, თუ რა განაპირობებს ქცევის არსებული მოდელების არსებობას. მიზეზები ყველა საზოგადოებაში განსხვავებულია, მაგრამ ორი მიზეზი, რომელიც მე, აქტივისტებთან მუშაობის დროს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შემხვედრია, ყველგან გვხვდება: ადამიანებმა არ იციან სხვაგვარად მოქცევა; ხალხს არ სჯერა, რომ მათი აქტიურობა ცვლილებებს გამოიწვევს.

ხალხს ავიწყდება, რომ თავადაა რეალური ძალაუფლების მქონე. რა თქმა უნდა, ფორმალური განათლების სისტემა, კორპორაციები, მთავრობები, მედია ცდილობენ, გააძლიერონ რწმენა იმისა, რომ ძალაუფლება რამდენიმე ადამიანის ხელშია თავმოყრილი და ფული და იარაღი ძალაუფლების მთავარი ინსტრუმენტებია. ამგვარი ნარატივი მათ მიზნებს შესანიშნავად ემსახურება. თუმცა, წარმატებული არაძალადობრივი მოძრაობების დამსახურება იმაშია, რომ მათ შეძლეს ხალხის გამოღვიძება და დაამტკიცეს, რომ საერთო მიზნის მქონე ადამიანების კოლექტიური მოქმედება ნებისმიერ ჯარსა თუ ფულზე უფრო ძლიერია. ყველამ, ვისაც კი სამოქალაქო მოძრაობის წამოწყება და ხალხთან ურთიერთობა სურს, კარგად უნდა დაიმახსოვროს ეს გაკვეთილი და მუდმივად ესაუბროს ხალხს მათ შესაძლებლობებსა და ძალაზე.

წარმატებული მოძრაობები ამით არ შემოიფარგლებიან და, საზოგადოების საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნების გარდა, ცდილობენ, მოახდინონ ძალაუფლების დემონსტრირება, კონკრეტული, მიღწევადი მიზნების დასახვა და გამარჯვებათა პოპულარიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული გამარჯვება ყოვლისმომცველი არაა, თავად გამარჯვების პრეცედენტი შეიძლება ძალიან დიდ გავლენას ახდენდეს საზოგადოებაზე. მაგალითად, სამოქალაქო უფლებების მოძრაობამ აშშ-ში საკუთარი ენერჯის მობილიზაცია ალაბამაში, მონტგომერიში, 1955-56 წლებში მოახდინა და 1960 წელს ნეშვილში სასადილო ადგილების დესეგრეგაცია სცადა. ინდოეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ცდილობდა მარილის კანონი გაუქმებინა 1930-31 წლებში, თუმცა, როდესაც გამარჯვებას მიაღწიეს, ეს მიზნები ძალიან მცირე მნიშვნელობის აღმოჩნდა იმ გიგანტურ შედეგებთან შედარებით, რის შთამაგონებლადაც ეს მოძრაობა იქცა. გამარჯვებებმა ხალხი დაარწმუნა, რომ მის აქტიურობას აზრი ჰქონდა და შეეძლო, რეალური ცვლილებები გამოეწვია. ამ რწმენამ ათასობით ადამიანი ჩართო მოძრაობაში და კამპანიას ადგილობრივიდან ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბი შესძინა.

ამერიკის სამოქალაქო უფლებების და ინდოეთის დამოუკიდებლობის მოძრაობებმა თავიანთი მიზნების მიღწევა მხოლოდ იმიტომ კი არ შეძლეს, რომ მათი მიზნები სამართლიანი და ნათელი იყო; მათი წარმატების რეცეპტი დაუღალავი შრომა, კრეატიულობა და პოლიტიკური ვითარების კარგი ანალიზი გახდა. ეს რეცეპტი ყველა წარმატებულ არაძალადობრივ აქტივობას ეხება. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტს ბევრი უყურადღებოდ ტოვებს და ცდილობს, არაძალადობრივი აქტივობები წარმოგვიდგინოს, როგორც საჯარო პროტესტი, უკმაყოფილების გამოხატვა და მორალური არჩევანი ან ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ წარმატების განმაპირობებელი ქარიზმატული ლიდერი ან რაღაც ზებუნებრივი ძალეობა. ასე არაა - არაძალადობრივ კამპანიებს არც იდეური პაცეფისტები სჭირდება და არც არაძალადობრიობის ეთიკისადმი ერთგული მონაწილეები. ის, რაც არაძალადობრივ კამპანიას სჭირდება, გამაერთიანებელი ხედვა, კარგი გეგმა, საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია და კონკრეტულ სიტუაციაში სწორი ტაქტიკური სვლების შერჩევის უნარია. არ არსებობს ყველა შემთხვევაზე მორგებული რომელიმე ერთი თარგი, არაძალადობრივი კამპანია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის უნდა შეიქმნას. ზოგადი პრინციპები, როგორიცაა ძალაუფლებისა და მორჩილების კავშირი, ყველგან ერთია, მაგრამ მათი რეალიზება განსხვავებული ფორმებით ხდება. როგორც არ უნდა იყოს კამპანია, იქნება ეს პროტესტი თუ ეკონომიკური მექანიზმების (კამპანიების უმრავლესობა

მრავალფეროვან ტაქტიკას იყენებს) გამოყენება, მისი მიზანი ერთია - შეიქმნას პოლიტიკური სივრცე, საიდანაც შესაძლებელი გახდება ოპონენტის იძულება, წავიდეს დათმობებზე.

საბედნიეროდ, უკვე გვაქვს კვლევები, საიდანაც ჩანს, თუ როგორ იყენებდნენ ადამიანები არაძალადობრივ აქტივობებს, სხვადასხვა დროს, დიადი მიზნების მისაღწევად. ამგვარ ცოდნაზე მოთხოვნა იზრდება მათ შორის, ვინც კარგად ხვდება არაძალადობრივი აქტივობის შესაძლებლობებს. თქვენ გაგიჭირდებათ, ამ თემაზე წაიკითხოთ გაზეთებში ან გაიგოთ პოლიტიკოსებისგან, მაგრამ, აქტივისტებთან გასაუბრების შემთხვევაში, ისინი აუცილებლად მოგიყვებიან ამგვარი კამპანიების შესახებ. მათ კარგად ესმით, რომ ხალხია ცვლილებების განმაპირობებელი და სტრუქტურული ცვლილებები მხოლოდ ქვემოდან ზევით პრინციპით ხორციელდება. ისინი აღარ ელოდებიან ლიდერს, რადგანაც კარგად იციან, რომ პოლიტიკურ და კორპორატიულ ლიდერთა უმრავლესობა არ ჩაერთვება ასეთ კამპანიებში, თუ იქ მათი ამომრჩეველი ან მხარდამჭერი ჯგუფები არ მონაწილეობენ და ლიდერებს ანგარიშვალდებულებს არ გახდიან. მეტი და მეტი ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმართავს არაძალადობრივ კამპანიებს (რომელსაც გამოიყენებენ საარჩევნო კამპანიასთან, სამართლებრივ კამპანიებთან და ცვლილებების სხვა ტრადიციულ მექანიზმებთან ერთობლიობაში), როგორც პრაგმატულ არჩევანს - საკუთარი თემის გასაძლიერებლად, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და სამართლიანობის, გამჭვირვალობის, ქალთა და უმცირესობათა უფლებებისა თუ გარემოს დასაცავად. როგორც არ უნდა იყოს ჩვენი მიზანი, არაძალადობრივი აქტივობის წინაპირობა ყველგან ერთია - ძალაუფლების კონცეფციის ცვლილება ადამიანების გონებაში. ამ ცოდნის გავრცელება და ხალხისთვის საკუთარ ძალებში რწმენის განმტკიცება აუცილებლად გახდება კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ცვლილებების დასაწყისი.